



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

29 დეკემბერი, 2022 წელი

N 32/36

ეგზ.: N1

შუახვევის მუნიციპალიტეტის 2020-2021
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი		
	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტის საგანი	7
	აუდიტის მასშტაბი	7
	აუდიტის კრიტერიუმები	7
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2. აუდიტის მიგნებები	10
	საკონტაქტო ინფორმაცია	22

ტერმინები და შემოკლებები

მერია – შუახევის მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ა(ა)იპ – ა(ა)იპ – შუახევის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შუახევის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვა

ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

შუახევის მუნიციპალიტეტს 2020-2021 წლებში აუთვისებული დარჩა 5,670,528 ლარის საბიუჯეტო რესურსი, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან მართვაზე მიუთითებს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავის ხარჯი

საწვავის ხარჯვაში არსებული ხარვეზები

საწვავის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დადასტურებას, რის გამოც 2020-2021 წლებში, ჯამში – 95,385 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება; ასევე არ არის დარეგულირებული მუნიციპალური ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

აქტივების მართვა

აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 46,016,553 ლარის ღირებულების აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, ხოლო 32,210,639 ლარის ქონებას საინვენტარო ნომრები არ აქვს მინიჭებული. აღნიშნული გარემოება ზრდის აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებულ რისკებს.

შესყიდვები

მშენებლობა-რეაბილიტაციაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის სისტემამ რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა; არ არის შეფასებული ექსპერტიზის დასკვნაში ასახული კვლევის შედეგების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა; მხოლოდ ხილულ სამუშაოებზე განხორციელებული აზომვების გამო, ვერ მივიღეთ რწმუნება 282,996 ლარის ღირებულების ფარული სამუშაოების ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებაზე.

პრეტენდენტთა გამარჯვებულად გამოვლენის და ხელშეკრულების შეწყვეტის ნაკლოვანებები

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ, რიგ შემთხვევაში არაერთგვაროვანი მიდგომით განახორციელა სახელმწიფო შესყიდვა, გამარჯვებულის გამოვლენა და პრეტენდენტთა დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებლებზე არ დაუკისრებია არანაკლებ 84,194 ლარის საჯარიმო სანქცია.

გადაყვანის მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, პროგრამების განსახორციელებლად, სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე მიმწოდებელზე გადახდილია გადაყვანის მომსახურების ღირებულება ჯამში 93,299 ლარი.

შრომის ანაზღაურება**შრომის ანაზღაურების ხარვეზები**

მუნიციპალიტეტში სრულფასოვნად არ გამოიყენება სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემა. ამასთანავე 8 პირი, რომელთა ანაზღაურებამ 2020-2021 წლებში შეადგინა 78,782 ლარი, შეთავსებით, ერთდროულად დასაქმებულია სხვა უწყებაში და მათ მიერ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

შიდა კონტროლი**შიდა კონტროლის ნაკლოვანებები**

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაციები

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიას

რეკომენდაცია N1. ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

რეკომენდაცია N2. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯების ეფექტიანად ხარჯვის მიზნით, განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოპტიმალურ რაოდენობას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ და რაციონალურ ხარჯვას. ამასთანავე, იმსჯელოს ცალკეული პირების მიერ საწვავის ნაშთის დაგროვების გამომწვევ მიზეზებზე და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, მათ შორის, შესაბამისი თანხების ბიუჯეტში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია N3. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სათანადო აღრიცხვას; აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ჩაატაროს სრული ინვენტარიზაცია.

რეკომენდაცია N4. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე ეფექტიან ზედამხედველობას, ხარვეზების დროულად გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას. ამასთანავე, სათანადო დასაბუთების გარეშე გაწეული ფარული სამუშაოების ხარჯებთან დაკავშირებით გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

რეკომენდაცია N5. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრეტენდენტების მიმართ სამართლიან და ერთგვაროვან მიდგომას. ამასთანავე, განიხილოს არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის მიმწოდებელზე საჯარიმო სანქციების დაუკისრებლობის გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N6. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის გაწეული საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. ამასთანავე, მერიის ხელმძღვანელობამ განიხილოს დაუსაბუთებლად თანხების გადახდის, ასევე მუნიციპალიტეტის მხრიდან მიმწოდებლის მიმართ ხელიშემშლელი გარემოების შესაძლო არსებობის გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N7. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები და შექმნას ადამიანური რესურსების მართვის ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას; ამასთან ერთად, შეფასდეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტეები, შეთავსებით დასაქმებული პირების მიერ სამუშაო დროის სრულფასოვნად გამოყენების რისკები და გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

რეკომენდაცია N8. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურმა აუდიტის თემების შერჩევის დროს მაქსიმალური ყურადღება გაამახვილოს მაღალი რისკის შემცველი საკითხების შესწავლაზე, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების ეფექტიან მონიტორინგზე.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

შუახვევის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის კანონშესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა შუახვევის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში გაწეული საქმიანობის, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის მიმართულებების მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ;
- შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილება „შუახევის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N15 დადგენილება „შუახევის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

- აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი;
 - დოკუმენტური შემოწმება;
 - ფიზიკური დათვალიერება;
 - ინტერვიუები.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

შუახვევის მუნიციპალიტეტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. მერიის საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს მერი. მერიის სტრუქტურა შედგება 9 სტრუქტურული ერთეულისგან და დასაქმებულია 102 თანამშრომელი. შემოსულობები 2020 წელს შეადგენს 11,549,387 ლარს, 2021 წელს – 11,719,542 ლარს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, დაბა შუახვევი, თამარ მეფის ქუჩა N30.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების განხორციელებისთვის დამოუკიდებლად განსაზღვრავს დასაფინანსებელი გადასახდელების მიმართულებებს. ბიუჯეტში გათვალისწინებული საკუთარი შემოსულობების გაზრდილი ფინანსური რესურსები შეიძლება გამოიყენოს არაფინანსური აქტივების ზრდასთან დაკავშირებული გადასახდელების დასაფინანსებლად.¹ ამასთანავე, ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით, შემოსულობებმა 2020-2021 წლებში – 23,268,929 ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 22,511,263 ლარი შეადგინა.

ინფორმაცია შემოსულობების და გადასახდელების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი N1. ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ

დასახელება	2020 წელი			2021 წელი		
	დაზუსტებული გეგმა (ლარი)	საკასო შესრულება (ლარი)	შესრულების %	დაზუსტებული გეგმა (ლარი)	საკასო შესრულება (ლარი)	შესრულების %
შემოსულობები	11 574 130	11 549 387	100%	14 817 400	11 719 542	79%
შემოსავლები	11 574 130	11 535 936	100%	14 817 400	11 711 132	79%
არაფინანსური აქტივების კლება	0	13 451	100%	0	8 410	100%
გადასახდელები	11 614 130	10 051 799	87%	16 499 000	12 459 464	76%
ხარჯები	5 981 456	5 591 682	93%	7 298 480	6 758 659	93%
არაფინანსური აქტივების ზრდა	5 632 674	4 460 117	79%	9 200 520	5 700 805	62%

2021 წელს, 2020 წელთან შედარებით თავისუფალი ნაშთის შემცირების დინამიკა კლებადია და უმჯობესდება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა მოცულობით საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 1,538,291 ლარი, რომლის ხარჯვაც დაიგეგმა 2021 წლისათვის, თუმცა წლის ბოლოს ნაშთის გამოყენებამ მხოლოდ 739,922 ლარი შეადგინა და პერიოდის ბოლოს ფიქსირდება 798,369 ლარის თავისუფალი ნაშთი. ამასთანავე, 2021 წელს გრანტის სახით რესპუბლიკური ბიუჯეტით და სხვა ტრანსფერით გამოყოფილი თანხიდან² აუთვისებელია 3,333,868 ლარი, ჯამში – 5,670,528 ლარი³, რაც ძირითადად გამოწვეულია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულებისათვის განხორციელებული შესყიდვის პროცედურების არასათანადო წარმართვით, მათ შორის: საერთოდ არ განხორციელებულა: ფურტიოს, ბუთურაულის, ნენიის წყალსადენის სათავისა და გამწმენდი ნაგებობების მოწყობა – 180,000 ლარი; დღვანის ბაგა-ბაღის

¹ საქართველოს ორგანული კანონი - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლი 102; მუხლი 155, პუნქტი 3.

² ასიგნება შეადგენს 8,168,000 ლარს, საკასო ხარჯი - 4,834,132 ლარს, აუთვისებელია - 3,333,868 ლარი.

³ 1,538,291+798,369+3,333,868=5,670,528 ლარი.

მშენებლობა – 145,000 ლარი; გომის მთის ცენტრის კეთილმოწყობა – 100,000 ლარი; სოფელ ცივაძეების „სოფლის სახლის“ მშენებლობა – 105,000 ლარი; სარწყავი არხების რეაბილიტაცია – 82,000 ლარი; სოფელ ინწკვირეთის ცენტრის კეთილმოწყობა – 45,000 ლარი. ასევე შეწყვეტილია: სოფლის გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები – 457,793 ლარი; დაბის კეთილმოწყობის სამუშაოები – 180,177 ლარი და სხვ. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებით და პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები.⁴

დასკვნა

შუახვევის მუნიციპალიტეტს 2020-2021 წლებში აუთვისებელი დარჩა 5,670,528 ლარის საბიუჯეტო რესურსი, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან მართვაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N1 შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიას

ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

2.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავის ხარჯი

2.2.1 საწვავის ხარჯვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირთან უფლებამოსილების განხორციელებისათვის, მერის ბრძანებით დაწესებულია საწვავის ლიმიტები. მოქმედი რეგულაციებით,⁵ თანამშრომელთა მფლობელობაში არსებულ ავტომანქანებზე, საწვავის ხარჯვის დასადასტურებლად უნდა აწარმოონ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ გავლილი მანძილის რეესტრი. ამასთანავე, ოდომეტრის ჩვენება დაფიქსირებული უნდა იქნეს არანაკლებ თვეში ერთხელ, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკაში შესაძლებელია „საგზაო ფურცლის“ შემოღება, რომელიც იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დოკუმენტი და აღირიცხება კონკრეტული სატრანსპორტო ერთეულით შესრულებული სამუშაო.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2020-2021 წლებში საწვავის ხარჯვა ხორციელდებოდა საწვავის ტალონებით და ჯამში გახარჯულია 409,413 ლარის⁶ საწვავი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ 27 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაიხარჯა 314,028 ლარის საწვავი, ხოლო საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 23 ავტოსატრანსპორტზე გახარჯულია 95,385 ლარის საწვავი. აქვე

⁴ დაბასა და სოფლებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა; სამთო იალაღებზე გამართული ელექტროენერგიის მიწოდება; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირება; მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანება „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითად საშუალებებზე (ავტოსატრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვ.) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ დამტკიცების შესახებ.

⁶ ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებები: 2020 წელი: 27 ერთეული - 68,740 ლიტრი, 133,027 ლარი; 2021 წელი: 27 ერთეული - 70,800 ლიტრი, 181,001 ლარი, ჯამში: 139,540 ლიტრი, 314,028 ლარი; ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებზე მერიის მიერ გაცემულია საწვავი - 2020 წელი: 21 ერთეულზე - 21,280 ლიტრი, 41,361 ლარი; 2021 წელი: 23 ერთეულზე - 21,420 ლიტრი, 54,024 ლარი, ჯამში: 42,700 ლიტრი, 95,385 ლარი.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებისათვის სარეკომენდაციო შინაარსის მატარებელი საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ ავტოპარკით სარგებლობასა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული, საქართველოს მთავრობის დადგენილება,⁷ მერსას არ გაუთვალისწინებია და ავტომობილების გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისი წესი არ შეუმუშავებია.

განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევაში საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენება ვერ დასტურდება, კერძოდ: საჯარო მოსამსახურეების პირად საკუთრებაში არსებულ 23 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ჯამში გაცემულია 42,700 ლიტრი, 95,385 ლარის ღირებულების საწვავი, რომლის ხარჯვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტები ზოგადი ხასიათისაა და არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტულ პერიოდში სამსახურებრივი დანიშნულებით გადაადგილება, შესრულებული სამუშაო, გავლილი მანძილი და გაწეული მომსახურება.⁸ ამასთანავე დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ წინა პერიოდებში, ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში გაცემული და ჩამოწერილი საწვავიდან, 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ჯამში გაუხარჯავია, არანაკლებ, 2,200 ლიტრი.

დასკვნა

საწვავის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დადასტურებას, რის გამოც 2020-2021 წლებში, ჯამში – 95,385 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება; ასევე არ არის დარეგულირებული მუნიციპალური ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

რეკომენდაცია N2 შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიას

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯების ეფექტიანად ხარჯვის მიზნით, განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოპტიმალურ რაოდენობას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ და რაციონალურ ხარჯვას. ამასთანავე, იმსჯელოს ცალკეული პირების მიერ საწვავის ნაშთის დაგროვების გამომწვევ მიზეზებზე და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, მათ შორის, შესაბამისი თანხების ბიუჯეტში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

2.3 აქტივების მართვა

2.3.1 აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: დაწესებულებებში აქტივების დაცულობასა და სათანადოდ შენახვაზე, აღრიცხვიანობის სისწორეზე, არსებობასა და სისრულეზე რწმუნების მიღების ერთ-ერთ საშუალებას ინვენტარიზაცია განეკუთვნება. შესაბამის პერიოდში მოქმედი რეგულაციებით,⁹ ბუღალტრული აღრიცხვისა და

⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 2.

⁸ აუდიტის პერიოდში, 2022 წლის 1 სექტემბრიდან, მუნიციპალიტეტის ყველა მოსამსახურე ავტომობილის საწვავის შევსებას ახორციელებს საბარათე სისტემით, გაუქმებულია სატალონო სისტემა. აღნიშნულის შედეგად დადგინდა, რომ 1 ოქტომბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მიერ ტალონების მეშვეობით გაცემული 2,200 ლიტრი, 7,927 ლარის ღირებულების საწვავი - ფაქტობრივად გახარჯული არ არის.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმო/ორგანიზაცია ახორციელებს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას, რომლის ჩატარება სავალდებულოა.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და პასუხისმგებელი პირების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო, დარღვეულია ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი,¹⁰ კერძოდ, 46,016,553 ლარის ღირებულების აქტივებსა და ვალდებულებებზე ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული.¹¹ ამასთანავე გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც 33,210,639 ლარის ღირებულების ქონებას საინვენტარო ნომრები არ აქვს მინიჭებული ან/და აქტივებზე არ არის მითითებული ქონების ბრენდი და მოდელი,¹² რის გამოც ვერ ხერხდება საინვენტარიზაციო ქონების იდენტიფიცირება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 46,016,553 ლარის ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია, ხოლო 32,210,639 ლარის ქონებას საინვენტარო ნომრები არ აქვს მინიჭებული. აღნიშნული გარემოება ზრდის აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებულ რისკებს.

რეკომენდაცია N3 შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიას

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სათანადო აღრიცხვას; აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ჩაატაროს სრული ინვენტარიზაცია.

2.4 შესყიდვები

2.4.1 მშენებლობა - რეაბილიტაციაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის დაფინანსებით შესყიდული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დასრულების შემდეგ, სამუშაოების მიღება უნდა განხორციელდეს შესაბამისი დოკუმენტაციის¹³ წარმოდგენის საფუძველზე. შესყიდვასთან დაკავშირებით, სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების¹⁴ პირობებით, ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტებით, ფარული სამუშაოს აქტებით და რიგ შემთხვევებში, მიმწოდებლის მიერ აკრედიტებული ექსპერტის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რითაც დასტურდება ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

¹⁰ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-11 მუხლის პუნქტი 1.

¹¹ ექვემდებარებოდა ინვენტარიზაციას 48,046,630 ლარის აქტივები და ვალდებულებები, ჩატარდა - 2,030,077 ლარის ღირებულების აქტივებზე.

¹² ექვემდებარებოდა საინვენტარო ნომრის მინიჭებას 47,306,818 ლარის ღირებულების აქტივები, მინიჭებული აქვს - 14,096,179 ლარის ღირებულების აქტივებს. არ აქვს მინიჭებული საინვენტარო ნომრები აქტივებს: სკამებს, მაგიდებს, ელექტროდუმელებს, კომპიუტერულ ტექნიკას, ჟალუზებს საცეკვაო კოსტიუმებს, მობილურ ტელეფონებს და სხვ., ჯამში - 33,210,639 ლარის ღირებულების ინვენტარს.

¹³ სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით განსაზღვრული დოკუმენტები: შესრულებული სამუშაოს აქტი, ფარული სამუშაოს აქტები, მასალების სერტიფიკატი. ამასთანავე, ყველა გამოყენებული მასალა უნდა შეესაბამებოდეს პროექტით გათვალისწინებულ მასალებს.

¹⁴ ხელშეკრულება N109, 17.06.2019 წელი - 272,856 ლარი; ხელშეკრულება N149, 15.10.2020 წელი - 236,399 ლარი; ხელშეკრულება N33, 18.03.2020 წელი - 1,915,812 ლარი; ხელშეკრულება N47, 15.04.2020 წელი - 1,622,783 ლარი და სხვ.

	ფაქტობრივი გარემოება: ინფრასტრუქტურული ღონისძიების შესრულებისათვის, მხარეებს შორის გაფორმებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტების და რიგ შემთხვევებში ექსპერტის¹⁵ დასკვნის საფუძველზე, 25 შემთხვევაში მერიის მიერ გადახდილია მიმწოდებელზე 867,457 ლარი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით – 25 შემთხვევაში ფარული სამუშაოს აქტებში არ არის იდენტიფიცირებული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობები,¹⁶ შესაბამისად, არ დასტურდება შესრულებაში მითითებული 200,957 ლარის ფარული სამუშაოების მოცულობა და ფარულ სამუშაოებზე გამოყენებული მასალების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა, ხოლო 32 შემთხვევაში 82,039 ლარის ღირებულების ფარულ სამუშაოებზე არაა შედგენილი¹⁷ ფარული სამუშაოს აქტები. აღნიშნულ პირობებში, შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, მიმწოდებელზე გადახდილია ფარული სამუშაოების ღირებულება, არანაკლებ, 282,996 ლარი.
დასკვნა	მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა; არ არის შეფასებული ექსპერტიზის დასკვნაში ასახული კვლევის შედეგების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა; აზომვები განხორციელდა მხოლოდ ხილულ სამუშაოებზე; ვერ მივიღეთ რწმუნება, არანაკლებ, 282,996 ლარის ღირებულების ფარული სამუშაოები, რამდენად არის შესრულებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს და საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკებს წარმოშობს.
რეკომენდაცია N4 შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიას	შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე ეფექტიან ზედამხედველობას, ხარვეზების დროულად გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას. ამასთანავე, სათანადო დასაბუთების გარეშე გაწეული ფარული სამუშაოების ხარჯებთან დაკავშირებით გაატაროს სათანადო ღონისძიებები.
2.4.2 პრეტენდენტთა გამარჯვებულად გამოვლენის და ხელშეკრულების	კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,¹⁸ სახელმწიფო შესყიდვის ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული,

¹⁵ შპს „ბათ ექსპერტი“, ინსპექტირების ანგარიშები: N2/20, 08.04.2021 წელი; N2/085, 08.12.2021 წელი. ექსპერტის ანგარიშების მიხედვით, აზომვები ჩატარებულია მხოლოდ ხილულ სამუშაოებზე.

¹⁶ ხელშეკრულება N149, 15.10.2020 წელი, შპს „არსიანი“ – მიწის სამუშაოები; საყრდენი კედლის საძირკვლისა და ტანის არმატურის კარკასით მოწყობა; ფილის კარკასის არმატურით მოწყობა და სხვ. ხელშეკრულება N109, 17.09.2019 წელი, შპს „მარეთი 777“ – გრუნტის დამუშავება; ბალასტით და ღორღით წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა; საძირკვლის ქვეშ ხრეშოვანი ბალიშის მოწყობა; კედლების და პარაპეტების წვრილი სამშენებლო ბლოკით მოწყობა და სხვ.

¹⁷ 2020 წელი: 20 შემთხვევა, სამუშაოს ღირებულება - 63,364 ლარი; 2021 წელი: 12 შემთხვევა, სამუშაოს ღირებულება - 18,675 ლარი; ჯამში - 82,039 ლარი.

¹⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-4 და 27-ე მუხლები.

შეწყვეტის ნაკლოვანებები

არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა. სატენდერო კომისიამ მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

ფაქტობრივი გარემოება N1: დაბა შუახევში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისა და სახელოვნებო სკოლის შენობის მშენებლობისათვის მერიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი. დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი ხარჯთაღრიცხვაში უზუსტობის მოტივით დისკვალიფიცირებულია და გამარჯვებულად გამოვლენილია შემდეგი პრეტენდენტი, რომლის ფასი 64,348 ლარით აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის ფასს.¹⁹ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სატენდერო დოკუმენტაციის განხილვის პირველ ეტაპზე, დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დოკუმენტაციაში კომისიის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობები დაზუსტებულია შესაბამის ვადაში²⁰ და აღიარებულია გამარჯვებულად, თუმცა ორი დღის შემდეგ, კომისიამ განმეორებით იმსჯელა წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, გამოავლინა სხვა უზუსტობები, რომელიც პირველი დაზუსტების დროს არ იყო იდენტიფიცირებული. აღნიშნული გარემოების გამო, პრეტენდენტს შეეზღუდა გამოვლენილი შეუსაბამობების დაზუსტების უფლება, რამაც გამოიწვია შესყიდვის ფასის 64,348 ლარით ზრდა.

ფაქტობრივი გარემოება N2: მერიის მიერ მეორადი სატრანსპორტო საშუალების შესაძენად გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი. დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი, ავტომანქანის მოდელის არასწორად წარმოდგენის მოტივით, დისკვალიფიცირებულია და გამარჯვებულად გამოვლენილია შემდეგი პრეტენდენტი, რომლის შეთავაზებული ფასი და საწვავის წვის ნორმა აღემატება დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მონაცემებს.²¹ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოდგენილი აქვს, თუმცა კომისია დისკვალიფიკაციის მოტივად მიუთითებს, რომ არ არის წარმოდგენილი სატრანსპორტო საშუალების კონკრეტული მოდელი,²² რომლის წარმოდგენას სატენდერო წინადადება არ ითვალისწინებდა. ამასთანავე, აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ გამარჯვებულად აღიარებული პრეტენდენტის მიერ მიწოდებული ავტომანქანის საწვავის ფაქტობრივი ხარჯი 100 კმ-ზე შეადგენს, მაქსიმუმ, 20,85 ლიტრს,²³ რაც

¹⁹ NAT 200014884, 23.09.2020 წელი, სავარაუდო ღირებულება - 665,820 ლარი; შპს „ნიკა“ - შეთავაზებული ფასი - 532,657 ლარი, შპს „ჯორჯიან ბილდინგი“ - 597,008 ლარი, სხვაობა - 64,348 ლარი. ხელშეკრულება N206, 30.11.2020 წელი, ხელშეკრულების ღირებულება - 597,005 ლარი.

²⁰ ოქმი N2, 19.10.2020 წელი, ეთხოვა დაეზუსტებინა: შემოთავაზებული ფასის - 532,657 ლარის შესაბამისი ფასების ცხრილი; პრეტენდენტის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ინფორმაცია საგარანტიო ვადებთან დაკავშირებით და გეგმა-გრაფიკი. ოქმი N3, 26.10.2020 წელი - აღიარებულია გამარჯვებულად. ოქმი N4, 28.10.2020 წელი - დისკვალიფიცირებულია ლოკალურ ხარჯთაღრიცხვაში შრომით დანახარჯებზე ზედნადები ხარჯების არაზუსტად გაანგარიშების მოტივით.

²¹ NAT 210023386, 03.12.2021 წელი, სავარაუდო ღირებულება - 34,500 ლარი, ფიზიკური პირი მ. დ. - შეთავაზებული ფასი - 34,000 ლარი, საწვავის ხარჯი 100კმ-ზე, არაუმეტეს, 10,8 ლიტრი. ფიზიკური პირი გ. ზ. - შეთავაზებული ფასი - 34,250 ლარი, საწვავის ხარჯი 100კმ-ზე, არაუმეტეს, 12 ლიტრი.

²² სატენდერო წინადადების ტექნიკური პირობით მოთხოვნილია ავტომანქანის მწარმოებელი ქვეყანის, მწარმოებელის და მოდელის წარმოდგენა, რაც პრეტენდენტს სრულად აქვს წარმოდგენილი.

²³ შუახევის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 აგვისტოს N100 ბრძანებით შექმნილი ავტომანქანის საწვავის ხარჯის დამდგენი კომისიის დასკვნა.

8,85 ლიტრით მეტია სატენდერო წინადადების პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.²⁴

ფაქტობრივი გარემოება N3: მუნიციპალიტეტში მოქმედი სამუშაოების მიმღები კომისიის²⁵ მიერ 2022 წელს განხილულია 2020-2021 წლებში მიმდინარე 35 ინფრასტრუქტურული ღონისძიების შესრულების მდგომარეობა. კომისიის გადაწყვეტილებით, 15 შემთხვევაში მიმწოდებლებს გაუგრძელდათ ხელშეკრულების მოქმედების ვადა,²⁶ ხოლო 20 შემთხვევაში ეს ვადა შეწყვეტილია, ურთიერთშეთანხმებით. აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ ხელშეკრულების შესრულების, შეწყვეტის და ვადის გაგრძელების მდგომარეობა არაერთგვაროვანი მიდგომით არის შეფასებული; კერძოდ, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველად კომისია მიუთითებს, რომ შეუსრულებელი სამუშაოებისათვის საჭირო თანხა 2022 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული და მუნიციპალიტეტს ადგილობრივი ბიუჯეტში არ გააჩნია ფულადი სახსრები,²⁷ თუმცა ანალოგიურ პირობებში სხვა მიმწოდებლებთან²⁸ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაზრდილია და დარჩენილი სამუშაოები დაფინანსებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამასთანავე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვალისწინებს მიმწოდებელზე ჯარიმის დაკისრებას, რომელიც მერიის მიერ არ იქნა გამოყენებული, რაც 20 შემთხვევაზე, ჯამში – შეადგენს, არანაკლებ, 84,194 ლარს.

დასკვნა

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ რიგ შემთხვევაში არაერთგვაროვანი მიდგომით განახორციელა სახელმწიფო შესყიდვა, გამარჯვებულის გამოვლენა და პრეტენდენტთა დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის, მიმწოდებლებზე არ დაუკისრებია, არანაკლებ, 84,194 ლარის საჯარიმო სანქცია, რაც საბიუჯეტო სახსრების არეკონომიურად ხარჯვისა და მიმწოდებლებზე დასარიცხი საჯარიმო სანქციის თავის არიდების რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია N5 შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიას

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრეტენდენტების მიმართ სამართლიან და ერთგვაროვან მიდგომას. ამასთანავე, განიხილოს არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და ხელშეკრულების პირობის

²⁴ 2022 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გავლილი მანძილით, სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ზღვრულ ნორმასთან შედარებით, გახარჯულია 798 ლიტრით მეტი - 2,797 ლარის ღირებულების საწვავი, რაც შემდგომ პერიოდებში შესაძლებელია გაცილებით მეტიც იყოს.

²⁵ შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმღები კომისია, სხდომის ოქმი N1, 26.01.2022 წელი.

²⁶ სამუშაოს შესრულების ვადა არ არის გაგრძელებული და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაკისრებულია პირგასამტეხლო.

²⁷ 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აუთენტიკური ნაშთი: 01.01.2022 წელი - 798,369 ლარი; 01.02.2022 წელი - 464, 206 ლარი; 01.03.2022 წელი - 366,759 ლარი; 01.04.2022 წელი - 179,837 ლარი.

²⁸ ხელშეკრულება N172, 30.10.2020 წელი, მიმწოდებელი შპს „ზურა-2012“ - შესრულებულია 43,99%, ანუ 20956 ლარის, შეუსრულებელია 26,683 ლარის და შეწყვეტილია, ხოლო ხელშეკრულება N129, 30.06.2021 წელი, მიმწოდებელი შპს „ნაციმციმელი“ - საერთოდ არ არის შესრულებული, შესასრულებელია 23,995 ლარის სამუშაოები და გაგრძელებულია ხელშეკრულების მოქმედების დრო; ხელშეკრულება N212, 06.10.2021 წელი, მიმწოდებელი შპს „ნაციმციმელი“ - შესრულებულია 78,12%, ანუ 69,528 ლარის, შეუსრულებელია - 19,471 ლარი და შეწყვეტილია, ხოლო ხელშეკრულება N242, 10.11.2021 წელი, მიმწოდებელი შპს „ზურა - 2012“ - შესრულებულია 23,8%, ანუ 8,483 ლარის, შესასრულებელია 27,113 ლარის სამუშაოები და გაგრძელებულია ხელშეკრულების მოქმედების დრო და სხვ.

დარღვევისათვის მიმწოდებელზე საჯარიმო სანქციების დაუკისრებლობის გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

2.4.3 გადაყვანის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: შუახევის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სამთო იალაღებზე უფასოდ გადაყვანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან უპატრონო, მაწანწალა ცხოველების დაჭერა და თავშესაფარში გადაყვანა რეგულირდება მერიის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.²⁹

ფაქტობრივი გარემოება N1: შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამთო იალაღებზე უფასოდ გადაყვანის მომსახურებისათვის მერიის მიერ 2020-2021 წლებში, ჯამში – ნაჩვენებია 370 რეისის შესრულება³⁰ და მიმწოდებლებზე გადახდილია 74,385 ლარი. სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულების პირობებით პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საკუთრებაში ან ხელშეკრულებით მინიმუმ 3 (სამი) ერთეული, არანაკლებ, 14-ადგილიანი (დასაჯდომი ადგილი) სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში და მძღოლი უნდა ფლობდეს D კატეგორიის მართვის მოწმობას, მგზავრთა გადაყვანა უნდა განხორციელდეს უსაფრთხოდ, ყველა სატრანსპორტო წესის დაცვით, ყოველ მარშრუტზე კვირის განმავლობაში უნდა შესრულდეს, მინიმუმ, ერთი რეისი. ამასთანავე, ცალკეულ მარშრუტზე გაწეული მომსახურების ხარისხის და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი უნდა განხორციელდეს მერიის ზედამხედველობის კომისიის მიერ.³¹

მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე მერიის კომისიის მიერ წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტები, სადაც ასახულია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მიკროავტობუსებით შესრულებულია, თუმცა წარმოდგენილი აქტებით არ არის იდენტიფიცირებული: რომელმა მძღოლმა, როდის, რამდენი რეისი შესრულა, როგორია მძღოლის კვალიფიკაცია და ავტომანქანის ტექნიკური მდგომარეობა რამდენად შეესაბამება სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობებს. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში მერიის მიერ დამატებით წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების წერილობითი ინფორმაციები მოსახლეობის უფასო გადაყვანასთან დაკავშირებით, თუმცა წარმოდგენილ ინფორმაციებშიც არ არის იდენტიფიცირებული,³²

²⁹ მგზავრთა გადაყვანა: NAT 200009336, მიმწოდებელი - შპს „ნუციკო 2016“; NAT 210009510, მიმწოდებელი - შპს „საქართველო 777“. ცხოველების გადაყვანა: NAT 200006269, მიმწოდებელი - შპს GEBEP; NAT 210002839, მიმწოდებელი - ინდ. მეწარმე გელა ნაცვლიშვილი.

³⁰ შპს „ნუციკო 2016“, ხელშეკრულება N91, 16.07.2020 წელი, გადახდილია 36,267 ლარი და ნაჩვენებია შესრულებაში - 183 რეისი; შპს „საქართველო 777“, ხელშეკრულება N126, 01.06.2021 წელი, გადახდილია 37,758 ლარი და ნაჩვენებია შესრულებაში - 187 რეისი, ჯამში - 370 რეისი.

³¹ შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებები: N06-824, 05.12.2019 წელი, N06-276, 20.05.2021 წელი - „შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ზოგიერთი მიზნობრივი პროგრამის მიმდინარეობის ზედამხედველობის კომისიის შექმნის შესახებ“.

³² წერილები: N149, 27.07.2020 წელი, ასახულია ბარათაული-გრძელგორის 1 რეისი, მძღოლი უცნობია, ავტომანქანა და გადაყვანის დრო, ხოლო ხელშეკრულება ითვალისწინებს ხიჭაურს, ახალდაბას, ბარათაულს, გრძელგორს; N119, 28.07.2020 წელი, ასახულია, რომ შესრულდა მთა კატრიანზე 3 რეისი, უცნობია მძღოლი, ავტომანქანა და გადაყვანის დრო, ხელშეკრულება ითვალისწინებს დაბა შუახევი, კატრიანი, ყავრიანს; N78, 03.08.2021 წელი, მითითებულია, რომ შესრულდა დღვანი-ჩირუხის 4 რეისი, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დღვანი, ლომანაური, გოგინაური, ჩირუხი; ასევე წერილი N139, 01.09.2021 წელი, მითითებულია, რომ შესრულდა მგზავრთა გადაყვანა, თუმცა როდის, ვის მიერ, რა სატრანსპორტო საშუალებით და რამდენი რეისი შესრულებული, არ დასტურდება, ანალოგიური მოცემულობა სხვა წარმოდგენილ დოკუმენტებშიც. მერიის მიერ დამატებით წარმოდგენილია ავტომანქანებზე გადაღებული ფოტომასალა, თუმცა ვერ ხერხდება

სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მომსახურების ფაქტობრივად გაწევა, ხოლო ინფორმაციებში მითითებული მომსახურების მარშრუტი არ შეესაბამება ხელშეკრულების შესაბამისად გასაწევი მომსახურების მარშრუტს. აუდიტორული პროცედურებით³³ დადგინდა, რომ სატენდერო წინადადების მიღების ეტაპზე მიმწოდებლების მიერ მომსახურების უზრუნველსაყოფად დაქირავებული მიკროავტობუსის მძღოლებს 2020 წელს მომსახურება არ განუხორციელებიათ, ხოლო 2021 წელს მომსახურება განხორციელდა მხოლოდ სამ მარშრუტზე.³⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტი რწმუნების მისაღებად, გარე დადასტურების ფორმით, აუდიტის პერიოდში მიმწოდებლებს ეთხოვათ წარმოედგინათ მათ მიერ დაქირავებული ავტოტრანსპორტით ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების ან/და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია,³⁵ რაც არ იქნა წარმოდგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

ფაქტობრივი გარემოება N2: შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფლებში უპატრონო, მაწანწალა ცხოველების დაჭერის და თავშესაფარში გადაყვანის მომსახურებისათვის მერიას 2020 წელს გადახდილი აქვს 14,918 ლარი, 2021 წელს – 3,996 ლარი, ჯამში – 18,914 ლარი.³⁶ სატენდერო წინადადებით, მომსახურების გაწევისათვის პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა,³⁷ რაც 2020 წელს განხორციელებული შესყიდვის ეტაპზე პრეტენდენტს არ აქვს წარმოდგენილი.³⁸ აღნიშნულ პირობებში სატენდერო კომისიის მიერ აღიარებულია გამარჯვებულად და გაფორმებულია ხელშეკრულება. გაწეული მომსახურების ანაზღაურების ეტაპზე მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ვერ ხერხდება იდენტიფიცირება – მუნიციპალიტეტის რომელ უბანზე და სად განახორციელა მიმწოდებელმა ცხოველების დაჭერა. ასევე არაა წარმოდგენილი ცხოველების ფაქტობრივად გადაყვანის და თავშესაფარში განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

იდენტიფიცირება – როდის არის გადაღებული, რა დანიშნულებით, რამდენად შეესაბამება ავტომაქსის მდგომარეობა და მძღოლის კვალიფიკაცია მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანას; ამასთანავე, რიგ შემთხვევაში წარმოდგენილია სატვირთო ავტომაქსებზე გადაღებული სურათები.

³³ სატელეფონო გასაუბრება განხორციელდა სატენდერო მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილ სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებზე-მძღოლებზე.

³⁴ მძღოლი ადასტურებს, რომ 2021 წლის ივლისსა და აგვისტოში მომსახურება განხორციელდა: გოგამეები-ჩირუხი-ჯინალის მიმართულებით – 8 რეისი და გადახდილია მძღოლზე 280 ლარი; ქიძინიძეები-ჯაბნიძეები – ჩირუხის მიმართულებით – 9 რეისი და გადახდილია მძღოლზე 300 ლარი; ინწვირეთი-შედრეკილი-ინწვირეთის მიმართულებით – 8 რეისი და გადახდილია მძღოლზე 280 ლარი. ჯამში: 25 რეისი, 860 ლარი.

³⁵ დაქირავებულ მძღოლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით, მიმწოდებელს მძღოლებისათვის თითოეულ შესრულებულ რეისზე უნდა გადაეხადა ყოველ განვლილ კილომეტრზე საწვავის და მომსახურების საფასური.

³⁶ NAT 200006269, მიმწოდებელი შპს GEBEP, ხელშეკრულება N70, 06.04.2020 წელი, ღირებულება - 14,998 ლარი, გადახდილია - 14,918 ლარი; NAT 210002839, მიმწოდებელი ინდ. მეწარმე გელა ნაცვლიშვილი, ხელშეკრულება N41, 12.03.2021 წელი, ღირებულება -13,912 ლარი, გადახდილია - 3,996 ლარი.

³⁷ სპეციალური ავტომაქსა, ცხოველების დასაჭერი სპეციალური ინვენტარი, თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფილი ზოოვეტერინარული კლინიკა. სპეციალური საპროცედურო კაბინეტები და საშაპე ცხოველსამყოფი, არანაკლებ, 50 ვოილერისა.

³⁸ წარმოდგენილია 2017 წელს გადაღებული სურათები, რაც მიმდინარე შესყიდვის პროცედურებისათვის არარელევანტურია და ვერ დასტურდება კლინიკის და სხვა აქტივების ფლობა ან/და სარგებლობა. აღნიშნულის გამო მეტი რწმუნებისათვის, გარე დადასტურებით, მიმწოდებლებს ეთხოვათ, წარმოედგინათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფლობის/სარგებლობის შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც ვერ იქნა წარმოდგენილი.

	2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის მოტივით, მუნიციპალიტეტის მიერ შეწყვეტილია³⁹ ხელშეკრულება, მაგრამ ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიმწოდებელს⁴⁰ წარმოდგენილი აქვს წერილობითი ინფორმაცია, სადაც მიუთითებს, რომ მერიის მხრიდან დაფიქსირდა სამუშაოების ხელის შეშლის ფაქტები და ითხოვს ხელშეკრულების ზედამხედველი პიროვნების სხვა პიროვნებით ჩანაცვლებას,⁴¹ თუმცა აღნიშნული მდგომარეობის შესწავლის და შესაბამისი ღონისძიების გატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მერიამ ვერ წარმოადგინა.
დასკვნა	მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, პროგრამების განსახორციელებლად, სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, მიმწოდებელზე გადახდილია გადაყვანის მომსახურების ღირებულება, ჯამში – 93,299 ლარი.
რეკომენდაცია N6 შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიას	შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ, შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის გაწეული საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. ამასთანავე, მერიის ხელმძღვანელობამ განიხილოს დაუსაბუთებლად თანხების გადახდის, ასევე მუნიციპალიტეტის მხრიდან მიმწოდებლის მიმართ ხელის შემშლელი გარემოების შესაძლო არსებობის გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.
2.5 შრომის ანაზღაურება	კრიტერიუმი: შესაბამის პერიოდში მოქმედი რეგულაციებით,⁴² ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს: ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად. თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობისათვის გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა დაკავებული პოზიცია და შესასრულებელი სამუშაოს სახეობა, შრომის ანაზღაურების ხარჯის გაწევა კი უნდა შეფასდეს ნამუშევარი დროის მიხედვით. ფაქტობრივი გარემოება: მერიაში 2020-2021 წლებში სრულყოფილად არ წარმოებდა თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა, არ არის ნაწარმოები სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი, ხელფასების დარიცხვა ხდება მხოლოდ საშტატო განრიგის საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სამუშაო დროის სრული განაკვეთით დასაქმების პირობებში, მუნიციპალიტეტის 8 თანამშრომელი,⁴³ რომელთა ანაზღაურებაც 2020-2021 წლებში ჯამში, შეადგენს – 78,782 ლარს, ერთდროულად დასაქმებული არიან სხვა სამუშაო ადგილებზე. შესაბამისად, ვერ მივიღეთ

³⁹ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N06-642, 25.10.2021 წელი.

⁴⁰ მიმწოდებლის წერილი N150-10, 17.09.2021 წელი, მერიის რეგისტრაციის ნომერი: N6734/07, 20.09.2021 წელი.

⁴¹ წერილის შინაარსი: მერიის წარმომადგენლის მხრიდან დასტურდება ხელის შეშლის ფაქტები, ფინანსური დაინტერესების დაკარგვის გამო.

⁴² საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ მუხლი 24, პუნქტი 2,3; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 30, მე-13 და მე-14 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე,

⁴³ შერჩეულია 29 ერთეული.

	რწმუნება, მათ მიერ სამუშაო დრო რამდენად რაციონალურად არის გამოყენებული.
დასკვნა	მუნიციპალიტეტში სრულფასოვნად არ გამოიყენება სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემა. ამასთანავე 8 პირი, რომელთა ანაზღაურებამ შეადგინა 78,782 ლარი, შეთავსებით, ერთდროულად დასაქმებულია სხვა უწყებებში და მათ მიერ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება. აღნიშნული გარემოებები შრომის ანაზღაურების სახით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად გამოყენების რისკებს შეიცავს.
რეკომენდაცია N7 შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიას	შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები და შექმნას ადამიანური რესურსების მართვის ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას; ამასთან ერთად, შეფასდეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტეები, შეთავსებით დასაქმებული პირების მიერ სამუშაო დროის სრულფასოვნად გამოყენების რისკები და გატარდეს სათანადო ღონისძიებები.
2.6 შიდა კონტროლი	კრიტერიუმი: შიდა კონტროლის საქმიანობა ეხმარება დაწესებულებას ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების შენარჩუნებაში მუდმივი სრულყოფის ხელშეწყობის გზით. ⁴⁴ შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციაა ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. აუდიტის სუბიექტი აფასებს რისკის მართვის პროცესების ეფექტიანობას და ხელს უწყობს მათ გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, სამსახურმა შეისწავლოს მერიის საქმიანობა; შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად იყენებენ დაფინანსებას. შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას, ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომლებიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას. რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.
2.6.1 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები	ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტში მიმდინარე აუდიტის პერიოდში გამოვლინდა შიდა კონტროლის სისუსტეები, რამაც განაპირობა ფინანსური რესურსების მართვაში, საწვავის ხარჯვაში, აქტივების მართვაში, მშენებლობა-რეაბილიტაციასა და მოსახლეობის გადაყვანის მომსახურებაში არსებული ხარვეზები. მსგავსი ხარვეზები და შიდა კონტროლის სისუსტეები გამოვლენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა პერიოდების აუდიტის დროსაც. მერიის შიდა აუდიტის სამსახურს 2020-2021 წლებში ჩატარებული აქვს 4 თემატური შემოწმება ⁴⁵ და გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა-

⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის N1015 განკარგულება „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

⁴⁵ 2020 წელს - 2 აუდიტი, 2021 წელს - 2 აუდიტი, ჯამში: 4 თემატური აუდიტი. ა(ა)იპ - შუახვევის ბაღების გაერთიანება - გაწეული საქმიანობის მონიტორინგი; ა(ა)იპ - შუახვევის სახელოვნებო სკოლა - გაწეული საქმიანობის მონიტორინგი; ა(ა)იპ - შუახვევის კულტურის ცენტრი - გაწეული საქმიანობის მონიტორინგი; ა(ა)იპ - შუახვევის კომპლექსური სასპორტო სკოლა - გაწეული საქმიანობის მონიტორინგი.

ნაკლოვანება, რომელთა გამოსწორების მიზნით გაცემულია რეკომენდაციები, თუმცა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად, ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მიმდინარე და წინა პერიოდებში ჩატარებული აუდიტის შედეგად.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაცია N8 შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიას

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურმა აუდიტის თემების შერჩევის დროს მაქსიმალური ყურადღება გაამახვილოს მაღალი რისკის შემცველი საკითხების შესწავლაზე, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების ეფექტიან მონიტორინგზე.

აუდიტორები

ხელმოწერა

ნადიმ ბოლქვაძე
მთავარი აუდიტორი



მინდია ჯორთმენაძე
უფროსი აუდიტორი



ნინო ჩაგანავა
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი



ავთანდილ აბაშიძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი



საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38